ოქმი №2

ქ. ზუგდიდი 15 მარტი 2018 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 29 წევრიდან 24 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ლევან შონია** - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;
2. **ლევან მაკალათია** -აბაშის მუნიციპალიტეტის მერი;
3. **მამუკა კვიტაშვილი** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
4. **გელა ხოშტარია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
5. **ლაშა გოგია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;
6. **მამუკა წოწერია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
7. **თაზო ფაცაცია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
8. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი;
9. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
10. **კაპიტონ ჟორჟოლიანი** - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი;
11. **მაიზერ ჯაფარიძე** - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
12. **ზაურ ჩართოლანი** - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
13. **ლევან კუპრეიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი;
14. **კახაბერ რუსია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
15. **ბადრი კალანდარიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
16. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი;
17. **ბესიკ ესებუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
18. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
19. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი;
20. **თემურ ღვინჯილია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
21. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
22. **ედიშერ ჯობავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
23. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
24. **გოჩა კურდღელია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი;
25. **ირაკლი კაკულია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **დათო კოდუა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე;
3. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
4. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე.
5. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი ნუგზარ გაბელია.

ნუგზარ გაბელიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტის მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო

გეგმა 2015-2018 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. 2018 წლის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ლ. შონია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/